ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N77

2025 წელი; 12 ივნისი; 12:00 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
დავით ფარცვანია

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

მოხსენების დასაწყისში, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ მ/წლის 30 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლის თანახმად, კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვრა არაუმეტეს 11 (თერთმეტი) წევრით, ფრაქციას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" საკრებულოს თითოეულ კომისიაში განესაზღვრა კვოტა 6 (ექვსი) წევრით, ხოლო, ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვრა კვოტა 1 (ერთი) წევრის რაოდენობით. **კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა,** რომ დანარჩენი პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები დარჩა უცვლელი სახით.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის განახლებული კვოტების შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 28-ე მუხლის მე-2[1] პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-5 პუნქტის,** ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-17 მუხლის 3[1] პუნქტისა და 36[1] მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით,** მ/წლის 5 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას მიერ, წარედგინა წერილობითი კორესპონდენცია (N03-032515645) და ფრაქციის სხდომის ოქმი N74,** რომელთა თანახმადაც, 2025 წლის 4 ივნისს, გაიმართა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" სხდომა, რომლის ფარგლებშიც, აღნიშნული ფრაქციის წევრებმა, ერთხმად დაუჭირეს მხარი შემდეგ საკითხს:

- **ალექსანდრე ხუჯაძის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში გაწევრიანების, ხოლო ფრაქციის ყველა სხვა წევრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კომისიების შემადგენლობაში წევრობის უცვლელად დატოვების შესახებ.**

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დღემდე არ შეუსრულებია საქართველოს ორგანული კანონითა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულება, ახლად დამტკიცებული კვოტების შესაბამისად, ფრაქციის წევრთა კომისიებში წარდგენის შესახებ.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მ/წლის 3 და 10 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N03-032515422 და N03-032516116 წერილობითი კორესპონდენციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარეს და ფრაქციის წევრებს **დამატებით განემარტათ ფრაქციის კანონისმიერი ვალდებულების შესახებ,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ, მ/წლის 30 მაისს დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესაბამისად, **ფრაქციის წევრთა საკრებულოს კომისიებში წარდგენის თაობაზე, იმ დათქმით, რომ ორგანული კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის **განახლებული კვოტების შესაბამისად, საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრების გათვალისწინების გარეშე.**

ნინო ვარდოსანიძემ აქვე დამატებით აღნიშნა, რომ მ/წლის 11 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის ირაკლი ნადირაძის N03-032516239 წერილის თანახმად, ფრაქცია არ ეთანხმება ბიუროს მიერ მ/წლის 30 მაისს დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, შესაბამისად, არ წარმოადგენს ფრაქციის გადაწყვეტილებას ფრაქციის წევრთა კომისიებში წარდგენის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე აგრძელებს სასამართლოში დავას და ითხოვს სასამართლოში საკითხის განხილვის ვადით შეჩერდეს მისი მოქმედება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (შემდგომში - „ორგანული კანონი") 30^1 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, **თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას შეუმცირდა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, იგი ვალდებულია ხელახლა, ახალი კვოტების შესაბამისად წარადგინოს ფრაქციის წევრები მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის ორგანოში.**

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ორგანული კანონის 28-ე მუხლის 2^1 პუნქტის დანაწესზეც, რომლის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის **საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს)** მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის **კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომისიაში წევრებს.**

ნინო ვარდოსანიძემ აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა) ვალდებულია იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც (გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა).

კომისიის თავმჯდომარემ მიუთითა ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2^2 პუნქტის დანაწესზეც, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს **კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

ნინო ვარდოსანიძემ აქვე აღნიშნა, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ²" ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია ცნობად მიიღოს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაადგინეს, რომ დაცულია საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" მიერ კომისიის შემადგენლობაში წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა აქვე აღნიშნეს, რომ ვინაიდან ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ არ იქნა წარმოდგენილი ფრაქციის გადაწყვეტილება ფრაქციის წევრთა საკრებულოს კომისიებში წარდგენის თაობაზე და არ შესრულდა როგორც ორგანული კანონით, ასევე რეგლამენტით დადგენილი ვალდებულება, კომისია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, მიმდინარე ეტაპზე, განსაზღვრავს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრების გათვალისწინების გარეშე. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, სასამართლის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, არ არსებობს საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის განახლებული კვოტების მოქმედების შეჩერების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა გადაწყვიტეს, რომ კომისია საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე, საკრებულოს ბიუროს დანართის სახით წარუდგენს, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობის სახით მიღების მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი ნინო დანელიშვილი